გენდერის კონსტრუირება ქართულ საბავშვო სატელევიზიო გადაცემებში

ვერიკო ხაბეიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო რჩეულიშვილი, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ვერიკო ხაბეიშვილი

25.06.2021

აბსტრაქტი

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში აქტიურად მიმდინარეობს გენდერულ საკითხებზე მუშაობა. ეს მოიცავს ქალებისა და მამაკაცების როლის გათანაბრებას საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში, აგრეთვე საზოგადოების თვითშეგნების ამაღლებასა და სტერეოტიპებისგან თავისუფალი აზროვნების ჩამოყალიბებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს ადრეულ ასაკში სწორად მიეწოდოთ ინფორმაცია საკუთარი გენდერის შესახებ. სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტთან ერთად, მნიშვნელოვანია, თუ როგორაა წარმოდგენილი გენდერი წიგნებში, მედიასაშუალებებში, ფილმებსა და ანიმაციურ ფილმებში.

კვლევის მიზანია, ორი ქართული საბავშვო სატელევიზიო გადაცემის ანალიზის საშუალებით, შეისწავლოს ქართულ საბავშვო სატელევიზიო გადაცემებში გენდერის კონსტრუირება. როგორაა თითოეული სქესი წარმოდგენილი, რა სტერეოტიპებს, აღქმებს, მოლოდინებს შეიცავს გადაცემები. აგრეთვე, აღწეროს, თუ რა გენდერულ ენობრივ მარკერებს ვხვდებით გადაცემებში. კვლევის მიზანია, ასევე გააანალიზოს მშობლების დამოკიდებულებები, აღქმები და მოლოდინები საბავშვო გადაცემებთან დაკავშირებით.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით. კონტენტ-ანალიზის მეთოდით შევისწავლე ორი ქართული საბავშვო გადაცემა: „პატარების დიდი შოუ“ და „საქანელა“. ხოლო ფოკუს-ჯგუფის მეთოდი გამოვიყენე მშობლების დამოკიდებულებების შესასწავლად.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართულ საბავშვო გადაცემებში გენდერულადაა ტიპირებული ბავშვების ქცევები, გარეგნული მახასიათებლები, რიგი პიროვნული თვისებები. სტერეოტიპულადაა გადმოცემული ქალებისა და მამაკაცების როლი საოჯახო საქმეებში, კერძოდ, მამაკაცებს ნაკლებად მიეწერებათ საოჯახო საქმეების შესრულებისა თუ ბავშვებზე ზრუნვის როლი. მაშინ, როცა გადაცემები პირდაპირ ატარებს შეტყობინებას, რომ ეს სფერო ქალისაა. კვლევამ აჩვენა, რომ განსაკუთრებით

სტერეოტიპულადაა წარმოჩენილი 6 წლამდე ასაკის გოგონების გარეგნული მახასიათებლები და ქცევები. აგრეთვე, გადაცემებში უფროსების დამოკიდებულება ბავშვებისადმი ყოველთვის ბავშვების სქესითაა განპირობებული, მაშინ, როცა ბავშვების ქცევები იშვიათადაა განსაზღვრული სქესის ნიშნით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საბავშვო გადაცემები; გენდერი; გენდერული სტერეოტიპები, გენდერული როლები; გადაცემების გავლენა;

Abstract

Gender issues are being actively worked on in modern Georgian society. This includes equalizing the roles of women and men in all spheres of society, as well as raising the self-awareness of the society and the formation of stereotypes-free thinking. It is especially important to provide children with accurate information about their own gender at an early age. Along with various social institutions, it is important how gender is represented in books, media, movies and animated films.

The aim of the research is to study the construction of gender in Georgian children's TV programs through the analysis of two Georgian children's TV programs. To describe how each sex is represented, what stereotypes, perceptions, expectations are contained in the shows. Also, describe what gender language markers in the shows. The aim of the research is also to analyze the attitudes, perceptions and expectations of parents regarding children's programs.

The study was conducted using a qualitative method. Using the method of content analysis, I studied two Georgian children's television programs: "Big Show for Kids" (“Patarebis didi shou”) and "Swing" (“Sakanela”). Also I used the group interview method to study parental attitudes.

As a result of the research, it was revealed that the behaviors, appearance, and a number of personal qualities of children are typically gender-biased in Georgian children's programs. The role of women and men in domestic chores is stereotyped, in particular, men are less likely to be assigned the role of household chores or child care. While the shows directly convey the message that this field is for women. Research has shown that the physical characteristics and behaviors of girls under the age of 6 are particularly stereotypical. Also, in the shows, the attitude of the adults towards the children is always determined by the sex of the children, while the behaviors of the children are rarely determined by the gender.

Keywords: Kids Shows; Gender; Gender stereotypes, gender roles; The impact of shows;

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს ხელმძღვანელს, ნინო რჩეულიშვილს, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე გვერდში მედგა. მისმა პროფესიულმა რჩევებმა დიდი დახმარება გამიწია კვლევის სრულყოფისათვის.

მადლობას ვუხდი ასევე ჩემს რესპონდენტებს, რომელთაც დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, გამონახეს დრო, გამიზიარეს საკუთარი გამოცდილება და ისაუბრეს გულახდილად.

მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და ახლობლებს, რომლებიც მხარს მიჭერდნენ, მამხნევებდნენ და მეხმარებოდნენ მორალურად. მათი თანადგომა დამეხმარა რთული პერიოდების გადალახვაში. განსაკუთრებული მადლობა ჩემს შვილს მოთმინებისა და გაგებისთვის.